პარასკევი, 14 დეკემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 276

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდამ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და ...... წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ფასი 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

11 ქრისტეშობისთვეს, ღამის 1 საათზე, ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოლკოვნიკი

**ალექსანდრე ნიკოლოზის ძე არდაზიანი,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა განსვენებულისა ნინო პეტრეს ასული, ძმები: გიორგი და ზაქარია, და დები: ნატალია მესხისა, ანნა და სოფიო. პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე, დილის 12 საათზე და სადამოს 7 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
ადრესი: 1 საპიორნის ტუპიკი, საკუთარი სახლი № 4. (2—497—2)

პარასკევს, დეკემბრის 21-ს,

**ტფილისის სობრანიეს დარბაზში**

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება წარმოდგენა

I **გ ა ყ რ ა**
კომ. გ. ერისთავისა. წარმო. იქნება პირველი მოქმ.

II **მე მინდა კნეინა გავხდე**
კომ. ზ. ანტონოვისა, პირველი მოქმედება.

III **ბიძიასთან გამოხუმრება**
კომ. ვოდევილი რ. ერისთავისა.

IV **რაც გინახავს, ველარ ნახავ.**
კომ. ავ. ცაგარლისი, წარმ. იქნება მეორე მოქ.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი მ. საფაროვ-აბაშიძისა და დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტები, ბ-ნ ვ. აბაშიძის რეჟისორობით.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ქართული და ევროპიული

**ც ე კ ვ ა**

დარბაზში დაუკრავს საზანდარი და სამხედრო მუსიკის ორკესტრი.
ბილეთები იყიდება წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში. (5—5)

**დილით** ✦ **ქართული წარმოდგენა არტისტიულ საზ. თეატრში** ✦ **დილით**

კვირას, 16 დეკემბერს 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**იაფ-ფასიანი წარმოდგენა**

**ქორწილი**

პიესა 4 მოქმედებად, ივ. გომართელი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ო. ლეჟავა, ბ. ნებიერიძისა; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ი. ქივიძე, კ. ყიფიანი, დ. ჩარკვიანი და სხვანი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ დილის 12½ საათზე
მორიგე წევრი გამგეობისა **ივ. გომართელი**. რეჟისორი **ვ. გუნია**.

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა**

პარასკევს, 14 დეკემბერს, უკანასკნელი გასტროლი ცნობ. მომღ. ოლ. ბორონატისა წარმოდგენილი იქნება

I **„მ არგალიტის მაძიებელნი"** — მუსიკა ბიზესი.
II **„სოფლური პატიოსნება"** — მუსიკა მასკანიისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი ოლ. ბორონატი, გორინა, მარკოვა სპეშნევა; ბ-ნნი ვინჩ. კობბოლა, ენგელ-კრონი და სხვ.
კაპელმეისტერი: **ფალიაშვილი და გოლინკინი**. ფასები საბენეფისო, დასაწყისი 8 საათზე.
**ანონსი**: 15 დეკემბერს ბენეფისი სიბირიაკოვისა—„დემონი". (0—20)

**ძმ. ნიკიტინებ ს ცირკი.**



41 დეკემბერს, 1907 წელს, **დიდი წარმოდგენა** სამ განყოფილებად. მონაწილეობას იღებენ ცნობილი აკრობატები, ცხენოსნები, გიმნასტები, აკრობატები, ჟონგლიორები, ორიგინაური კლოუნები და კომიკები. სხვათა შორის ჰაერში ფრენა ტრიო დეხერტსისა. ცხენოსანი ქალები სტროკაი, ესაულოვა, ტროფილოვა, სობოლევსკაია; დებიუტი მემუსიკე კლოუნობის ანტონიო. დასასრულ დიდი პანტომიმა—ბალეტი. მონაწ. იღებს მთელი დასი და კორდებალეტი. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე და 5 დან წარმოდგენის გათავებამდე. დაწვრილებით პროგრამებში. მზადდება წარმოსადგენ დ ფანტასტიური ფეერი. დირექტორი **აკიმ ნიკიტინი**. (1—499—1)

**თამბაქოს ქარხანა**

საქ. საზ. **„მირისა"** ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

**არომატ**

საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას

10 ცალი 5 კაპ. ✦ 25 ცალი 15 კაპ

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—20)

**გამოვიდა და იყიდება**

**დამდეგი 1908 წლის**

**დროების კალენდარი**

**ფასი 35 კაპ.**

**იყიდება შემდეგ ადგილებში:**

**ტფილისში:** „ქართ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებაში" და „ცოდნის" წიგნის მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან („იმერეთის" ამხანაგობაში) **ფოთში:** და **სამეგრელოში** ძმ. კოხრეიძეებთან. **ხონში:** ივ. თურქიასთან (წიგ. მაღაზია „მეგობარი"). **ჭიათურაში:** სოფრომ ტარიელაშვილთან (ჭიათურის ბანკში). **ზესტაფონში:** პლ. ლეჟავასთან (წიგ. მაღაზია «ივერია»). **ბათუმში:** ბ. კილაძის სტამბაში.

ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 50 ცალისა, იმას დაეთმობა 20% დაკლებით.

პარტიობით დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, სტამბა «იდეალი», **სტეფანე ბაზინჯაღიანთან**

მიიღება ხელის მოწერა **1908** წ. საყმაწვილო სურათებიან ჟურნალზე:

**„ნაკადული"**

(ყოველთვიური ჟურნალი)

**1908** წელს წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ
24 წიგნი «ნაკადული» მცირე წლოვანთათვის; ✦ 36 სურათი ცნობილ მხატვრებისა
12 წიგნი «ნაკადული» მოზრდილთათვის;

**დ ა  ო რ ი  პ რ ე მ ი ა:**

1. კალენდარი ცნობილ მწერალთა სურათებიან და წერილებით.
2. „პატარა მაწანწალა" გრინვუდისა.

**წლიურად ორივე გამოცემა ღირს 5 მან.**

ნახევარის წლით 2 მან. და 50 კაპ. ✦ ცალ-ცალკე 3 მანეთი

ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ამ თავით—2 მან. 50 კაპ., მაისში—დანარჩენი. რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Головинскій пр. редал. дѣт. жур. „Н А К А Д У Л И".

**რედაქტორი მ. დემურია.** **გამომცემელი თ. პავ. იოს. თუმანიშვილი.**

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში (თავად-აზნაურ. ქარვ.). (5—1)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

**მედიცინის დოქტორი**
**მ. ი. მურადოვი,**
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, ვენერიულ (სიფილ.) და კანის ავადმყოფებს დილით 9—11 ს. სადამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ.—23)

ექიმი
**მ. ხ. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. სადამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—247)

**ქ. ქუთაისში**
**ექიმი ჯაფარიძე**
იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიჟარაძისა. (50—б.—34)

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**
**ნ. ა. ატინიანცი**
იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., სადამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის" სასტუმროს პირდაპირ. (50—385—41)

**ქუთაისში**
კბილის ექიმი
ს. ი. კერესელიძე
**გადავიდა გეგუთის ქუჩაზე** პ. რუხაძის სახლში. (25—ფ.—13)

**ქუთაისში**
კბილის ექიმი ქალი
**ე. დ. ნასარიძე**
იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

**ქ. თელავში**
ექიმი
**ნ ბ მრევლოვი,**
მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის. ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—27)

ექიმი
**გ ნ მაგაკიანი**
იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისას.** სპეციალური ექიმი. **კუჭის და ნაწლევებისა.** მიღება: დილით 12—1 ს., სადამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ჭავჭანიძისა (25—წლ.

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., სადამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეში. ზარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—00)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**
იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. სადამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**კბილის ექიმი**
**ბალარჯაშვილი-მათეშვილი**
იღებს ავადმყოფებს დილის 9—3, სად 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—420—25)

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.**
**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.
**რიდელი**—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე $1^1/_2$—3 საათ.
**აანჩევსკი**—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.
**ერმოლაევი**—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.
**ასპანსკი**—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.
**ზოგოვსკი**—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.
**გორადეცკიი**—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—$1^1/_2$ საათ.
**ინბერი**—ქალთა ავად. ყოველდღე 4—5 ს.
**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.
**ენუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.
**ნევშტროევი**—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.
**გორონცოვისა**—მასსაჟი. ყოველ დ. 12—4 ს.
**პავარსკი** — | კლინიკური ანალიზი.
**ჩუდნოვსკი** — |
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—б.—71)

**საყურადღებოდ**
**ტფილისის მეპურეებისა.**

დამდეგ ამ დეკემბრის თვის პირველ რიცხვში, თანახმად ჩემივე მთავარ კომიტეტისადმი თხოვნისა გამოსცა და დაარიგა ფურცლებით უწყება მეპურეებში ტფილისის წვრილ ვაჭართა პროფესიულ საზოგადოების მთავარმა კომიტეტმა, და წინადადება მისცა იმ ქართულ პურის მცხობლებს, რომელნიც ფქვილის საწყობის ამხანაგობაში (ვანო სოხიაშვილის და მის ამხ. გამგეობით) იყვნენ მონაწილენი; აირჩიონ სრულიად უცხო პირნი, სამი მედიატორე, და გაზეთის საშუალებით აცნობონ ვანო სოხიაშვილს და ამხ. და აგრეთვე ვანო სოხიაშვილმა და იმისმა ამხანაგებმაც აირჩიონ იგივე რიცხვი, სამი მედიატორე, და ამ ნაირათვე აცნობონ მეპურეებს; აღნიშნული კომიტეტი 15 ამავე დეკემბერის თვემდის გვიცდის, რომ ამ მედიატორეებმა გამოარკვიონ და დაამთავრონ ორსავე მხარეს შორის ანგარიშები და უსიამოვნება; მე და ჩემი ამხანაგები ვასახელებთ მედიატორებად 1. დავით გიორგის ძე ხართიშვილს, 2. ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძეს და მე 3. პავლე პეტრეს ძე ფაფაზოვს. 15 დეკემბერს, დილის 11 საათზე. ჩვენის მედიატორებით ველოდებით მეპურეთა მედიატორებს მთავარ კომიტეტის კონტორაში სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლაში № 153. უკეთუ მეპურეები მოისურვებენ, დანიშნონ სხვა ადგილი.

**ვანო სოხიაშვილი, ალექსანდრე გარაშაშვილი, სპირიდონ ლეჟანიძე**
(1—501—1)

**ვკისრულობ**

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის" რედაქციაში.

**ექიმების და ბებიაქალების**
**სამკურნალო კაბინეთი**
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, სადამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—6)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და სადამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—475—10)

**სახალხო**
**უნივერსიტეტის**

**ქართული სექცია**. 1. კვირას, 16 დეკემბერს, დილის 11 საათ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში პეტრე სურგულაძე ქართულად წაიკითხავს ლექციას ამ სათაურით: „სახალხო განათლება სკოლის გარეშე".

2. ამავე სახლში, კვირას, 3 საათზე ექიმი ივ. გომართელი ქართულად წაიკითხავს ლექციას: „თავის ტვინი და მისი მნიშვნელობა ადამიანის პსიხიურ ცხოვრებაში". (3—1)

## ტფილისი, 14 დეკემბერი.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ჩვენ პირველად ჩავუდექით კრიჭაში ერთის მხრივ ქართულ თავად-აზნაურულ სულის სწრაფვას და მეორეს მხრივ ქართულ სოციალდემოკრატულ მხედრობას. გადის დრო და ჩვენ ერთნაირის სიმტკიცით ვშოლტავთ ორივე მოწინაალმდეგეს. ჩვენი საზოგადოებრივ კრიტიკის გავლენით ზოგჯერ მოწინაალმდეგენიც კი იძულებულ ჰხდებიან საქვეყნოდ აღიარონ, რომ ამა თუ იმ საკითხში სიმართლე ჩვენსკენ არის, და მაშინ გარეშე მაყურებელს ჰგონია ეხლა კი დასრულდა, ეხლა კი დაისკვნა ისტორიული დავა, საზოგადოებრივი განხეთქილებაო. მაგრამ გადის კიდევ დრო, ცოტაოდენი დრო და ჩვენსა და ჩვენს მოპირდაპირეთა შორის წინააღმდეგობის კოცონი წინანდელზე ფართოდ ეხვევა ალში, წინანდელზე მეტის სიღრმის უფსკრულს აჩენს.

დიდი შრომა და დიდი ენერგია შევახარჯეთ თავის დროზე იმას, რომ საქართველოს თავად-აზნაურობას ჩვენი ქვეყნისთვის პოლიტიკური ავტონომიის საჭიროება ეცნო. როცა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ ოფიციალურად გამოსთქვა ავტონომიის აუცილებელი საჭიროება უქვეშევრდომილეს ადრესში, ჩვენის მოწინააღმდეგეთა მეორე ნაწილმა, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, ბუკსა და ნაღარას დაჰკრეს. გარეშე მაყურებელსაც რამოდენიმე საბუთი ჰქონდა მაშინ, ეფიქრა ქართველი სოც.-ფედერალისტები ერთსულ არიან ქართველ თავად-აზნაურობასთანო. გარეგნობა მომხიბლავია და ჩვენებურმა სოციალ-დემოკრატებმაც ისარგებლეს ამ მომხიბლველის გარეგნობით: სოც.-ფედერალისტებს მათ „ჭეშმარიტი ქართველები" უწოდეს და მას შემდეგ ყოველ დღე აკანკლედებენ იგივე ამ სიტყვას. ხალხის შეუგნებელ წრეებში ჩვენი გავლენის შესამცირებლად ეს ხელსაყრელი გარემოება იყო და უთვალავჯერ აავარჯიშეს ეს იარაღი.

ასტყდა სასტიკი, ულმობელი ბრძოლა ჩვენსა და სოც.-დემოკრატებ შორის. გარეგნულად იდეურ ბრძოლის ნიშნად საქართველოს ავტონომია იყო დასახული და ამ ღერძზე ისეთი სისასტიკე, ისეთი კამწავება ტრიალებდა, რის მაგვარიც სხვა არაფერი არ უნახავს აქამომდე ქართულ პრესსას. საწინააღმდეგო აზრთა შეჯახებისა გამო ნაფრქვევი ნაპერწკლები ელვის სისწრაფით იკლაკნებოდნენ საქართველოს ერის მრავალ სასიკვდილ-სასიცოცხლო საგნის თავზე და ამ ნაპერწკლების შუქზე ნათლად იკვეთდა,

ერთის მხრივ სოც.-ფედერალისტების და ქართველ თავად-აზნაურობის ძირითადი სხვადასხვაობა, ხოლო მეორეს მხრივ კი სოც.-ფედერალისტების მორალური აღმატებულობა ქართველ სოციალ-დემოკრატებზე. დასრულდა ეს ხანგრძლივი ბრძოლაც; დასრულდა ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო. ჭეშმარიტებამ გასტეხა ფოლადის ჯავშანივით მტკიცე სოციალდემოკრატული ჯიუტობა, სიმართლემ გაანგრია იდეიურ სიკერპის კედელი და ქართულმა სოციალ დემოკრატულმა პრესსამ ბოლოს წრფელის გულით აღიარა, კმარა, გვეყოფა, გვწამს, ჩვენც გვწამს, რომ დაჩაგრულ ქართველ ერისთვის პოლიტიკური ავტონომიაა საჭირო, დიახ ავტონომიაო.

გარეშე მაყურებლის ოცნებამ ამ ფაქტის ნიადაგზე შეიძლება იდილიური ერთსულოვანების სურათი წარმოიდგინოს და ფრიად აამგეროს ჩვენი და ქართველ სოციალ-დემოკრატების გული. მაგრამ ნამდვილად ეს ისეთივე ფუჭი, უსაფუძვლო ოცნება იქნება, როგორც ის იყო, ვითომც ჩვენ და თავად-აზნაურობა საერთო ჰანგებზე დავიწყებდით ქდერას, რაკი მან ჩვენის გავლენით საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის საჭიროება სცნო. ამ ორ ფაქტის შუა ჩვენს ცხოვრებაში სრული ანალოგიაა. როგორც ჩვენსა და თავად-აზნაურულ სულის კვეთებათა შორის არსებული ძირითადი წინააღმდეგობა მხოლოდ მას შემდეგ გამოირკვა მთელი თავის ძლიერებით, როცა საქართველოს ავტონომიის საკითხი სადაო საგანთა სიიდან ამოიშალა, ისე ეხლა გადიშლება რეალური შინაარსი ჩვენის და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგობისა მთელის თავის „შემაძრწუნებელის სიმიშვლით, მთელის თავის გამაბრუებელის სიელვარით.

საქმე ის კი არაა, ვის რა მიაჩნია საჭიროდ პრინციპიალურად ჩვენი ერის გაუკუღმართებულ ცხოვრების მოსაბრუნებლად, საქმე ისაა, ვინ რას მოიმოქმედებს და ვინ როგორ გაირჯება საჭიროდ აღიარებულ იდეალის განსახორციელებლად. არა ნისლიანი იდეები, არამედ ხორც-შესხმული საქმენი, არა პრინციპები, არამედ ტაქტიკა შეიქმს რეალურ ცხოვრების შინაარსს. იდეების და პრინციპების ასპარეზზე ბრძოლა, როგორც ჯანღი, თვალ განუჭვრეტელი ჯანღი ისე ჰფარავს საზოგადოებრივ მიმართულებათა ნამდვილს ღირებულობას და ეს უკანასკნელი მხოლოდ მას შემდეგ ირკვევა ნათლად და სრულად, როცა პრინციპიალური ბრძოლა და იდეიური დავა უკვე დასრულებულია.

ვინ არ იცის, რომ ქართველ თავად-აზნაურობას არასოდეს არ გამოუმჟღავნებია ისე ცინიკურად საქართველოს ერის კეთილდღეობისადმი გულის ძცრუება, როგორც მას შემდეგ, როცა მან ოფიციალურად გამოაცხადა, საქართველოს ავტონომია ესაჭიროებაო? იგივე მოვლენა იჩენს თავს ეხლა, სოციალ-დემოკრატულ წრეებში, ეხლა როცა ავტონომიას საჭიროებაზე პრინციპიალურ დავის გზა უკვე გავიარეთ. ჯერ დიდი დრო არაა გასული ამ დავის დამთავრების შემდეგ და ჩვენ უკვე ნათლად ვხედავთ, რომ „ბოლშევიზმის“ და „მენშევიზმის“ ბუნდიან სიტყვიერებაში გახვეული სოციალ-დემოკრატული ტაქტიკური კინკლაობა არსებითად და ფაქტიურად იმ სამარცხვინო, მხდალ და მცონარე პოლიტიკანობის განცხოველებაა, რომელსაც აწარმოებდა მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენი ბრწყინვალე წოდება და რომელსაც აწარმოებს იგი დღევანდლამდე დედა ძარღვი ამ სამარცხვინო პოლიტიკისა იცის ყველამ, ვისაც კი თვალყური უდევნებია უკანასკნელ წლების განმავლობაში ქართულის პრესსისთვის. ეს მთავარი ძარღვია—დაყვავება, თავის მოქონვა, ფიანდაზად ფეხ-ქვეშ გაგება, ცბიერი ენით უზომი ერთგულების განცხადება და ყველა ეს მხოლოდ იმ პოსაზრებით, რომ არწივი არ გააფთრდეს, არ წამოგვიქროლოს, კლანჭები არ ჩაჰკრას ქართველ ერის სხეულის და ერთბაშად სასიკვდილო ჭრილობა არ მიაყენოსო. ამ სამარცხვინო და დამღუპავ პოლიტიკის საფუძველს შეადგენს გულში ჩამარხული უნდობლობა ერის საკუთარ ძალთა მიმართ, ამ საფუძველზე შენდება საზოგადოებრივი ინდიფერენტისმი, ამ ინდიფერენტისმის სამოსელში გახვეული მცონარეობა კი ბუნებრივის აუცილებლობით გამოიხატება უმოქმედობაში და ერის ინტერესების მივიწყებაში. ასეთი იყო თავად-აზნაურული პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ჩავუდექით კრიჭაში. ამ პოლიტიკის დასამარცხებლად, იმის დასაძლევად და მის ზნეობრივ სიჩიტის გამოსამზევებლად ჩვენ წინ წამოვაყენეთ საკითხი საქართველოს ავტონომიის შესახებ, ვძლიეთ თავად-აზნაურული პოლიტიკა ამ საკითხის ნიადაგზე და მით დავანახვეთ ქვეყანას, რომ ქართველ ერისთვის საჭიროა არა მცონარე პოლიტიკანობა, უმოქმედო და სამარცხვინო პოლიტიკანობა, არამედ პირდაპირი და უშიშარი მოქმედება, სწორად და ხაზ-შეუბრუნებლივ მომდინარე ერის ბედნიერებისაკენ. თავად-აზნაურობამ იდეიურად, ე. ი. სიტყვიერად კი შესძლო ასულიყო ამ მწვერვალზე, მაგრამ იქ მას თავბრუ დაესხა და თავზარდაცემული დაექანა ცოტა ხნის შემდეგ ძარღვებისთვის ჩვეულ მცონარეობისა და ეროვნულ გულგრილობისაკენ. რა ვუყოთ, რომ თავად-აზნაურობა გაიძახის ავტონომია საქართველოს ძალიან მოუხდებაო! დიახ, მოუხდება, მაგრამ იგი მაინც თითსაც არ გაანძრევს ამ იდეალის განსახორციელებლად, იმას ცბიერი პოლიტიკანობის გაწევა უფრო ეხერხება და ამ პოლიტიკანობის ქსელში გაბმა უფრო ეადვილება, ვიდრე პირდაპირი მიზანშეწონილი საქმიანობა.

რაც ჩვენის ჯგუფის ზნეობრივის გავლენით ორიოდე წლის წინად დაემართათ ქართველ თავად-აზნაურებს, იგივე ემართებათ დღეს ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ეს უკანასკნელნიც, დიდის შრომის და მეცადინეობის შემდეგ, ავიყვანეთ იმ მწვერვალზედ, საიდანაც განსჭვრეტს გონების თვალი ერის აყვავებას, მის არსებაში მთვლემარე ძალთა განვითარებას, მის ცხოვრების წალკოტად ქცევას. დიახ, ავიყვანეთ და აქ, ამ მწვერვალზე, გავაღვიძეთ მათი ჯიუტობა; აქ მოულბათ მათ გაკერპებული გული, აქ განიცადეს მათ წრფელი გრძნობა ერის სიყვარულისა, მაგრამ, როგორც ქართველ თავად-აზნაურობას, იმათაც სწრაფად აუვარდათ შიშის კანკალი, იმათაც თავბრუ დაეხსათ, ისინიც შეძრწუნდნენ ეკლიანი გზის სანახაობით და იმათაც იწყეს ნავთსაყუდელის ძებნა პოლიტიკანობაში, დაყვავებაში, არწივის აფთარ გრძნობათა დაშოშმინებაში ცბიერის გალობით. ქართველ თავად-აზნაურობასთან ერთად ისინიც „პოლიტიკურ კულისებში“ ინახავენ „ავტონომიის მაირალს“ და ეროვნულ სატკივართა ყუველს მალამოს.*)

ამას წინად სახალხო განათლების შესახებ ვწერდით და გამოვარკვიეთ, რა ღრმა თავად-აზნაურული დაღი აზის განათლების საქმეს საქართველოში. ეხლა ჩვენ ვხედავთ, რომ თავად-აზნაურული ფსიხოლოგია შეადგენს ქართველ სოციალ-დემოკრატთა სულის მთავარ ძარღვსაც. რა ვუყოთ, რომ მათ ენის წვერზე „პროლეტარიატი“ და „მშრომელი ხალხი“ აკერიათ? ეს რუსეთის ცხოვრების მდინარის მიერ გამორიყული ლორლია. გადაჭქექეთ ეს ლორლი და თქვენ მთელის თავის სიგრძე-სიგანით ქართულ თავად-აზნაურულს სულს დაინახავთ.

კმარა! ვისაც ქართველ ხალხის ძალთა რწმენა არა აქვს, ის ამ ხალხს უნდა ჩამოშორდეს და, რაც უფრო ადრე ჩამოშორდება, მით უკეთესი.

*) აი რასა სწერს გაზეთი „წყარო“ 11 დეკემბრის ნომერში:

„ჩვენ კი წინააღმდეგ აზრს ვადგევართ, რადგან, ვინემ არსებობს მესამე დუმა და არც სახელმწიფოს ძირითადი საკითხია გადაწყვეტილი, ყოველივე ეროვნულ მოთხოვნათა წინ დაყენება ერთის მხრივ არის უნაყოფო დემონსტრაცია, და მეორეს მხრით დუმაში იწვევს მემარჯვენე კონცენტრაციას და სახელმწიფოშიაც აძლიერებს რეაქციას. აი, ამიტომ ჩვენ ვამბობთ: დღედღეობით ეროვნული მოთხოვნანი უკან უნდა დავაყენოთ. ჩვენ რომ დაჩაგრულ ერთა კანონიერ თავმოყვარეობას ერთობ აზიზად არ ვექცეოდეთ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ დღეს ავტონომიის მაირალი პოლიტიკურ კულისებში უნდა იქმნას შეტანილი. თუ ზემოდ დასახელებულ მოსაზრებათ იმასაც დასძენთ, რომ დღეს ხალხის მასსაში ეროვნული იდეა არა სდგას სათანადო სიმაღლეზე, დაგვეთანხმებით, რომ ჩვენ სრულებითაც დაინტერესებული არა ვართ ხალხი პასსიურ მოწმე გავხადოთ იმისა, თუ როგორ უტიფრად ითელება ფეხ-ქვეშ ერის წმიდათა-წმინდა“.

ჭეშმარიტად ქართული თავად-აზნაურული სიტყვაა, ის სიტყვა, რომელსაც ჩვენი მოწინავე წოდების წარმომადგენელნი იტყვიან ხოლმე, როცა გულწრფელობას იჩენენ და თავს იმართლებენ.

# ახალი ამბავი

—:—

◆ **ერობა კავკასიაში.** „ნოვოე ვრემია“ შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: „სახელმწიფო სათათბიროს საფინანსო კომისიამ ერთხმად დაადგინა, რომ კავკასიაში ერობა იქმნეს შემოღებული“.

◆ **ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად.** ტფ. ქალაქის თვით-მართველობის ქართველ მოხელე-მოსამსახურეებმა მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს კიდეც, გაიღონ ჯამაგირებიდან ერთი პროცენტი ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად.

◆ **სომხეთა დეპუტაცია ნამესტნიკთან.** სომეხთა დეპუტატები დღეს, 14 დეკემბერს, წარუდგებიან ნამესტნიკს და აძრავენ შუამდგომლობას ხაზინიდან 3,600,000 მან. გადადების შესახებ დამშეულ სომეხთა გამოსაკვებად.

◆ **მოსწავლის დაპატიმრება.** 13 დეკემბერს გაჩხრიკეს და დააპატიმრეს მოსწავლე სანდრო შანშიაშვილი.

◆ **მკვლელობა.** 12 დეკემბერს არხანგელსკისა და ბეგლიარის ქუჩების კუთხესთან ასანთით სავსე კალათი მიჰქონდა ერთს უცნობს. ვიღაცამ ამ კაცს დაახალა რევოლვერი და იქვე მოჰკლა. მოკლულის გვამი საავადმყოფოში გაგზავნეს. მიზეზი მკვლელობისა და აგრეთვე ვინაობა მოკლულისა [illegible] კვეული. მკვლელი მიიმალა.

◆ **მეპურეების [illegible].** [illegible] გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას გადასცა განსახილველად მეპურეების საერთო განცხადება. მეპურეები გუბერნატორს უცხადებენ, თუ პურის ნიხრი არ გადიდდა, შეუძლებელია დღევანდელ პირობებში ვაჭრობა განვაგრძოთ, რადგან ძალზე ვზარალობთო. მეპურეები იმასაც ამბობენ, 15 დეკემბრიდან შევწყვეტთ პურის ცხობას, თუ ნიხრს არ მოუმატებთო.

◆ **გადასახლებულთა სასარგებლოდ.** ჩვენმა რედაქციამ ვერხნეურალსკში განასახლებულთა სასარგებლოდ ქ-ნ ეკატერინე გაბაშვილისაგან მიიღო ორი მანეთი.

◆ **წარმოდგენა და კონცერტი წ. კ. საზ. სასარგებლოდ.** პარასკევს 21-ს ამ თვეს, „ტფილისის სობრანიე“-ში „წ. კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ, გარდა ქართულ წარმოდგენისა, გაიმართება საკონცერტო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს, სხვათა შორის, მოსკოვის ოპერის არტისტი ბ-ნი სერგ. ევლახიშვილი.

◆ **უმაღლეს კურსებზე.** უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრ. ბაღი), დღის და ხვალ, საღამოს 6—8 საათზე, პროფ. ნ. ი. კარაკაში წაიკითხავს უკანასკნელ ლექციებს შემდეგის პროგრამით: „ისტორიული გეოლოგია, გეოლოგიური სისტემები ჩვენსა და სხვაგან, კავკასიის გეოლოგიური ისტორია. მიწის მომავალი“. ლექციები აიხსნება სურათებით. კვირას, 16 დეკემბერს, პროფ. კარაკაში დაბრუნდება პეტერბურგს.

◆ **ჯამაგირების მომატება.** იუსტიციის სამინისტროს სათათბიროში შეუტანია კანონ-პროექტი შესახებ იმისა, რომ მოსამართლეებს ჯამაგირები მოემატოთ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი** კვირას, 16 დეკემბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ლექციებს წაიკითხავენ ქართულად პეტრე სურგულაძე და ივ. გომართელი, ხოლო მესამე გ. ხატისი სომხურად. პირველი ლექტორი წაიკითხავს 11 საათიდან „სახალხო განათლება სკოლის გარეშე“, მეორე 4 საათიდან „თავის ტვინი და მისი მნიშვნელობა ადამიანის ფსიხიურ ცხოვრებაში“ და მესამე 1 საათიდან „ირონიები და კლასი“ პრიმიტ... სკოლის უკუღმართ მეთოდის შესახებ!

# ფელეტონი

## სოფლის ავი და კარგი

(დასასრული *)

როგორც ზემოთა ვთქვით, პოლიტიკური გულ-გრილობა, ინდიფერენტიზმი, ნიშნობლივი თვისებაა გლეხისა. როგორც აქამდის გვიცხოვრია საწყლად, ისე ვიცხოვროთ ამას იქითაო, ამბობს. მოძრაობამ იმიტომ გაიტაცა იგი, რომ არა ფიქრობდა, თუ ამდენი მსხვერპლი დასჭირდებოდა

ამას გარდა გლეხი ძლიერ ფრთხილია. შეუძლებელია თავისი გული გადაგიშალოს; პირიქით, თავის იდუმალ გულის პასუხს ჰფარავს და მისი საუბარი წინააღმდეგია იმის რწმენისა. რატომ ირჯება იგი ასე? ვინ აძულა თავისი რწმენა დაჰგმოს და გაჰკიცხოს უბრალო საუბრის დროს? მიზეზი აი რაა: შიში ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე ნიშნობლივი თვისებაა გლეხისა. შიშმა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მოქმედებდა, ზელახა გლეხის თავ-მოყვარეობა, დაამეჩავა მისი ხასიათი.

ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ავტონომიის უარ-ყოფაში გლეხი სოც.-დემოკრატიას გაჰყვა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მიერ დამონებულმა ჩვენმა სოციალ-დემოკრატიამ ავტონომია, პოლიტიკური დამოუკიდებლობა, დამღუპველად აღიარა ქართველ ერისათვის. ქართველები მოუმზადებელნი არიან, ვერ მოიხმარებენ ავტონომიასაო, ჰქადაგებენ. ეს მონური ქადაგება, რაკი ყურში ჩაეწვეთა გლეხს, ძლიერ მოეწონა. არ გვინდა ავტონომიაო, გაიძახის სოციალ-დემოკრატთან ერთად ქართველი გლეხი; უპატრონოდ ვერ ვივარგებო; და რა ვიცი, რა სისაძაგლე არ მიაწერეს ავტონომიას. საქართველოს ყოველ კუთხეში გაცხარებულნი გაჰკიოდნენ, რომ ავტონომია და ფედერაცია ბატონ-ყმობის აღდგენას მოასწავებსო. ამგვარი შერცხვენა თავის თავისა, ამგვარი შერცვენა, ცილის-წამება და დამახინჯება ჭეშმარიტ მიმართულებისა ისტორიაში უმაგალითოა.

როგორ უყურებენ გლეხები პროლეტარიზაციის თეორიას? როდესაც სოც.-დემოკრატები აქებდნენ გლეხთა კრებებზე ქალაქის პროლეტარებს და ავად ახსენებდნენ გლეხებს, ესენი ტაშს უკრავდნენ და „ვაშას“ გაიძახოდნენ! ამისი მიზეზი ორი რამ არის. ერთი: როგორც ზემოდ ვთქვით, მრავალ-გვარ ისტორიულ პირობათა გამო გლეხს თავის ღირსების შეგნება, თავმოყვარეობა აკლია; მეორე: გლეხებისათვის, ცხადია, სასიხარულო უნდა იყოს, თუ კი ქალაქის პროლეტარიატი იმდენად ძლიერია, რომ მარტოდ მარტოს შეუძლია მოიპოვოს პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლებანი, როგორც ამტკიცებენ სოციალ-დემოკრატები. სამწუხაროდ, პროლეტარიატის ძალის ასეთი გაზვიადება დამღუპველი იყო მოძრაობისათვის. გლეხების გაპროლეტარების თეორიას კი დამახინჯებულად ჰქადაგებდნენ. არც ერთი მქადაგებელი არ ამბობდა, რომ სოციალ-დემოკრატია უყურებს გლეხების გაპროლეტარებას, როგორც წინმსვლელობას, პროგრესსო. პირიქით, ჰგოდებდნენ და ნიანგის ცრემლებს ღვრიდნენ, რომ ულმობელი კანონი ცხოვრებისა აღარიბებს, აპროლეტარებს გლეხებსაო. საზოგადოდ, სოციალ დემოკრატები მიწის შესახებ საუბარს ერიდებოდნენ და მხოლოდ სოცია.-ფედერალისტებთან კამათის დროს წამოაყენებდნენ ხოლმე თავიანთ ნახევრად მუნიციპალიზაციას, ნახევრად ნაციონალიზაციას, რენტის და სხვა ამგვარ აბდა უბდას. სოციალ-დემოკრატზე უსაცოდავესი არავინ არის, როცა აგრარულ პროგრამაზე ლაპარაკობს!

სამაგიეროდ პროლეტარიზაციის თეორია ხელზე დაიხვიეს შეძლებულმა გლეხებმა და ჩარჩებმა. სოციალ-დემოკრატებს იმიტომ ვემხრობით, რომ ისინი კერძო საკუთრებას არ ეხებიანო, გაიძახოდნენ სოფლის წურბელები. მართლაც სოც.-დ—ის მქადაგებელნი სულ მუდამ თავად აზნაურებს ჰკიცხავდნენ, მდიდარ გლეხებზე კი ხმას არ იღებდნენ. ჩვენ უნდა მოვსპოთ ფეოდალური ნაშთებიო, გაიძახოდნენ. მაგრამ განა მდიდარი გლეხი-კი შემავიწროებელი და ფეოდალი არ არის?! დიაღ, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ, თუ მთელი მიწა ხსენებულ წურბელებს ჩაუვარდათ ხელში, გლეხთა უმრავლესობა უარეს ყოფაში ჩავარდება. და ეს ასეც მოხდება. თავად-აზნაურები იძულებულნი არიან ხელი აიღონ მიწაზე, რომელსაც ყიდულობენ მდიდარი გლეხები, ვაჭრები და სახელმწიფო. და, როცა მთელი სოფელი ყიდულობს მიწას, გლეხთა უმეტესობა მევახშეებს უვარდება კლანჭებში.

ასე გადაამახინჯ-გადააკეთა ცხოვრებამ პროლეტარიზაციის თეორია, ეს ყალბი ფატალისტური მოძღვრება, აშენებული მეტაფიზიკურ საფუძველზე, ანტიმეცნიერულ „დიალექტიკაზე.“

დიაღ, საშინელებაა ჩვენი ცხოვრება. ყოველ ფეხის გადადგმაზე ჯოჯოხეთისებური სურათი გიდგია თვალ წინ. ყველგან გაისმის კვნესა და ტირილი მშიერთა, მცივანთა და სნეულთა. აზიური სიბინძურე, საზოგადოდ უკულტურობა აორკეცებს სიღარიბის ტკივილებს. ცრუმორწმუნოება, მამაპაპისეული ზნე-ჩვეულებანი, გონებრივი სიზარმაცე, წერა-კითხვის უარყოფა, მოქალაქობრივი გულ-გრილობა, ვიწრო თავ-მოყვარ-ობა, ბინძური გულის თქმანი, შური და მტრობა მოყვრობის მაგიერ,—აი, სხვათა შორის, მიზეზნი ქართველ ერის ყოველ-მხრივ დაქვეითებისა და გადაშენებისა.

და ერთი მთავარი მიზეზთაგანი ხსენებულ მოვლენათა არის ბიუროკრატია, საშინელი წეს-წყობილება, ნაყოფი პოლიტიკურ ცენტრალიზაციისა.

მაშ როგორი იქნება ბოლო? მოვისპობით თუ არა, როგორც მოისპნენ ერთ დროს რუსეთში ობრები ან ოსპობიან ტუნგუზები და იაკუტები? არა და არა! მრწამს, რომ ქართველი ერი არ მოისპობა და შეირჩენს თავის მიწა-წყალს. საიდან მომდინარეობს ასეთი რწმენაო, მკითხავთ. ვეცდები შეძლებისდაგვარად გიპასუხოთ. ჯერ ერთი: ქართველ ერს, მართალია, ჯერ ვერ შეუთვისებია ახალი კულტურა, მაგრამ სამაგიეროდ ძველი კულტურა აქვს შესისხლხორცებული. იგია მხვნელ-მთესველი, მევენახე, მებაღე, ხელოსანი; მაშასადამე, იმისთვის შეუძლებელი არ არის ახალ კულტურის შეთვისება. მეორე: ქართველ ერს კიდევ შერჩენია ძველი განათლების ნაშთი: მდიდარი ლიტერატურა და ენა. დიდი ბედნიერებაა, ფას-დაუდებელი განძია ენის სიმდიდრე, რომელიც არის ნიმუში გონებრივ განვითარებისა და საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ევროპის თანამედროვე ლიტერატურა და მეცნიერება. სამწუხაროდ, ჩვენი სოციალ-დემოკრატია მუდამ სასაცილოდ იგდებდა ჩვენს ენას და, ასე გასინჯეთ, სახელმწიფო სათათბიროში, როდესაც თითოეულ ერის წარმომადგენელმა დაჰგმო რუსიფიკატორული პოლიტიკა, ჩვენმა წარმომადგენლებმა კრინტიც არ დასძრეს ქართულ

ამას გარდა მწამს, რომ არც პოლიტიკურის მხრით მოგველის განსაცდელი. მთელი ევროპა რომ ერთი იმპერია იყოს, მონობა განმტკიცდებოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ისტორიის ჩარხის ტრიალი სოციალ-დემოკრატიის განზრახვებს არ ეთანხმება და ქვეყანა მრავალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არის დაყოფილი. მართალია, ახლა იხეთი დეცენტრალიზაცია არა სუფევს, როგორიც იყო ძველ საბერძნეთში, მაგრამ არც რომისებური ცენტრალიზაციაა გამეფებული. სახელმწიფოთა შორის გამწვავებულია კონკურენცია, ცილობა, ბრძოლა. თითოეული სახელმწიფო სარგებლობს სხვის სისუსტითა და მოუწყობლობით. ვერც ერთი თანამედროვე სახელმწიფო ვერ შესძლებს იმას, რაც შესძლო ძველმა რომმა ყურისტანში რომ გერმანია და ინგლისი არა ყოფილიყვნენ, საფრანგეთი მთლად ამოჭამდა მაროკოელებს. რომ ევროპის სახელმწიფოები არა ყოფილიყვნენ, დღეს აღარც ბერძნები იქნებოდნენ, არც ბოლგარელები. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაანთავისუფლეს კუბა ესპანელთა ბატონობისაგან. ჩინეთი გადარჩა დაპყრობას სახელმწიფოთა მეტოქეობის წყალობით იტალია განთავისუფლდა ავსტრიის ხელიდან საფრანგეთის დახმარებით, ბელგია ჰოლანდიის ბატონობისაგან იმავე საფრანგეთის წყალობით. შვეიცარიის დამოუკიდებლობა შედეგია იმავე მიზეზისა. რამდენი მაგალითი უნდა ჩამოვთვალო?! ვგონებ, რომ აზრი თავის-თავადაც მარტივი და ცხადია, და მაგალითის სიმრავლე არ არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ ევროპაში ეროვნულ თავისუფლების ნასახიც არ იქნებოდა ახლა, მარტო ერთი

*) იხ. „ისარი“ № 278.

ლექციაზე ბილეთები გაიყიდება 10 საათ., მეორეზე 12-იდან და მესამეზე 2-იდან.

✦ **პროკურორის ჩამოსვლა.** ტფილისში ჩამოვიდა ტფ. სასამართლო პალატის ახალი პროკურორი სილინი.

✦ **დაკრძალვა.** ოთხშაბათს 12 ქრისტეშობისთვეს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს ტფ. მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის წევრის უდროოდ გარდაცვლილ სოლომონ ბებიაშვილის გვამი. კუბოს ამკობდა წითელ ლენტებიანი გვირგვინები. დაკრძალვას დაესწრო ბევრი ხალხი წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა.

✦ 12 დეკემბერს აბასთუმნის ქუჩაზე მდგომ მედროგეებს სიმონ მაკეევი სამ-რიგეთ ნომრებს ურიგებდა. ერთმა მედროგემ დავით მაჩანურმა ჩხუბი აუტეხა მაკეევს, დიდი ნომერი რად მომეციო. მაჩანურს სხვა მედროგეები მიეხმარენ და დაუშინეს მაკეევს ჩხუბში ჩაერია პოლიციელი. რომელმაც იძრო ხანჯალი და დასჭრა დავით მაჩანური. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 12 დეკემბერს ყაზბეგის ქუჩაზე მოვაჭრე ზურაბ ნასყიდაშვილს დუქანში შეუვარდა სამი შეიარაღებული კაცი და მედუქნეს მუქარით მოსთხოვეს ფული. 25 მან. გაიტაცეს, ქუჩაში ორჯელ რევოლვერი გაისროლეს და მიიმალნენ.

✦ 12 დეკემბერს ღამე შერემეტიევის ქუჩაზე მოვაჭრეს მიკიჩ ბაღდასაროვს გაუტეხეს მაღაზია და 560 მან. საქონელი მოპარეს. ქურდი არამ ღუბელინი დააპატიმრეს. მოპარული ტყავეულობა ქურდს ჩამოართვეს და პატრონს ჩააბარეს.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ სამი კაცი აირჩია ტფ. საბალოსნო სასწავლებლის ყოფილ გამგეა სვ. ხუნდაძისაგან სკოლის ანგარიშების შესამოწმებლად და ჩასაბარებლად.

✦ ოლგას ქუჩაზე 12 დეკემბერს ტრამვაის ვაგონი დაეტაკა ფოსტა-ტელეგრაფის დროგს და დალეწა. დაშავებით არავინ დაშავებულა.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ ქალაქის საავადმყოფოს აშენების საქმე კვლავ აიწეწ-დაიწეწა. თითქმის 6-7 წლიწადი იქნა საქმე, რომ საავადმყოფოს აგება დამტკიცებულიყო და როცა საქმე ისე მოეწყო, რომ ქალაქის გამგეობას სისრულეში უნდა მოეყვანა მთავრობის მიერ ნება დართული გადაწყვეტილება, ამ ფრიად საჭირო დაწესებულებისა საქმემ ჯერ აქედან კომისიებში იარა და მერე კომისიებიდან საბჭოში. ბოლოს, როგორც იქნა, საკითხი საბოლოოდ გადაწყდა და ქალაქს გამგეობას ნება მიეცა იჯარით გაეცა შენობის აგება; ჯერ მოიჯარადრე ვერ იპოვნეს, მერე, როცა საიმედო მოიჯარადრე აღმოჩნდა, დაიწუნეს და სხვას, ვინმე ლენსკის გადასცეს შენობის აგება; ეხლა, როგორც გავიგეთ, ქალაქის გამგეობის და ლენსკის შორის რაღაც უთანხმოება ჩამოვარდნილა და ვინ იცის, როდის მოეღება ბოლო საქმეს. სიფრთხილე და წინ დახედულება კარგი საქონელია, მაგრამ არც ის ვარგა, რომ ამის გულისათვის კაცმა არაფერი გააკეთოს.

✦ მ. ლალიძე, თანახმად ხელშეკრულობისა, უკვე შეუდგა ჰიდრავლიკურ სადგურის აგებას ქუთაისიდან 5 ვერსის მანძილზე. იმედი აქვს, რომ მომავალ ივლისამდის ქუთაისში მოეწყობა ქუჩების ელექტრონით განათება.

✦ ქალაქის გამგეობამ მოითხოვა მოიწვია ის კომისია, რომელსაც, მოქალაქეთა დადგენილების თანახმად, ქალაქი უნდა გაენაწილებინათ უბნებად და ამ უკანასკნელთათვის პასუხის მგებელი წარმომადგენელი აერჩია ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ საბრძოლველად. რადგან მეოთხედაც არ გამოცხადდნენ კომისიის წევრნი, ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს გუბერნატორს აცნობოს ეს გარემოება.

✦ კ. დ. ბაქრაძეს გუბერნატორის მიერ ნება დაერთო ქუთაისში გამოსცეს ყოველ კვირეული გაზეთი სახელად „ფარი“. როგორც გავიგეთ, ამ გაზეთის პირველი ნომერი საახალწლოდ გამოვა.

✦ 11 დეკემბერს ექიმ ნაზაროვის თავმჯდომარეობით შესდგა ბავშვების დამხმარებელ საზოგადოების კრება. კრებამფეხზე წამოდგომით პატივი სცა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ ნამყოფის ქ-ნ ტ. ნაზაროვის ხსოვნას. შემდეგ ამისა ნაზაროვმა აუწყა კრებას, რომ საზოგადოების მოქმედება ჯერ წარსულ წლების არეულობისა და მერე გამგეობის თავმჯდომარის სიკვდილისა გამო შეფერხდა, თუმცა ამ ჟამად საზოგადოებას ფულად აქვს 1000 მანეთზე მეტი, რომელიც ჩემთან ინახება, ადგილი და დაწყებული შენობა. საჭიროა განახლდეს საზოგადოების მოქმედებაო. გამგეობის წევრებად აირჩიეს: ქ-ნი ს. მ. შტეძლერი, ბ-ნი დ. ა. მანუილოვი, ქ-ნი სოფ. კოკოჩაშვილისა, ბ-ნი კ. მ. ტატარინოვი, პოლ. იოსელიანი, სვიმონ ოცხელი, ლუზია კოკოჩაშვილისა, ელენე ნივინსკისა, ნატალია ლორთქიფანიძე, მარიამ ვარდოანიძე და მარგარიტა ქელაძე; კანდიდატებად: ოლგა კორძაშვილისა, ქ-ნნი შიდლოვსკაია და მანუილოვა. სარევიზიო კომისიის წევრებად: შახნაზაროვი, ივანე პურადაშვილი და ტრუბაჩევსკი. დასასრულ კრებამ დაავალა გამგეობას, სადღესასწაულოდ გამართოს ღარიბ ბავშვებისათვის ნაძვის ხე და ულარიბესთ თბილი ტანსაცმელი დაურიგდესთ.

ზაფხულს აქეთ შავი ქვის ფასი ეცემა. ამ ჟამად მუყიდველი სულ აღარ არის, რაც გინდა მცირე ფასად მისცეთ მარგანეცი. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ პლატფორმაზე მომდგარ ვაგონებზე უარს აცხადებენ მრეწველნი, მაშინ როდესაც ამ რამდენისამე თვის წინად მარტო ვაგონში 100 მანეთს იძლეოდნენ. შავქვას იმდენად დაეკარგა მუშტარი, რომ ამ თვეში თითო-ორიოლა ვაგონის მეტი არ გაგზავნილა ფოთში. ასეთმა მდგომარეობამ მთლად არივ-დარია საქმე და ვინც გუშინ მდიდარ კაცად ითვლებოდა, დღეს აღარ იცის, სად დაემალოს მუშებს და მოვალეებს. როგორც ჭიათურაში, ისე ქუთაისში ხშირად ნახავთ ჯგუფ-ჯგუფად მუშებს და მოიჯარადრეებს, რომელნიც თვეობით ელიან გასტუმრებას.

## ხმა სოფლიდან*)

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთშიაც მოათავსოთ ჩვენი შეწუხებული გაჭირვება, ჩვენ გორის მაზრის სოფელ ზერტში მომკვიდრე მცხოვრებლები გთხოვთ ჩვენს ყოველ გულმოდგინე ამხანაგობას ვისაც რომ გული შეგტკივათ ჩვენ დაჩაგრულ გლეხისათვის, რომ საიდანმე რაიმე შველება მოგვანიჭეთ, რაზედ, მაზედ რომ მთელი ჩვენი ზემოხსენებული სოფლის მცხოვრებნი ვართ ზეკუციისაგან განადგურებულნი ესე, რომ არც პური გვაქვს და არც საქონლის საჭმელი; ვისაც რომ უღელა ხარი გვყავს ისიცა ჰყიდის პურის გულისათვის და იკითხეთ თუ როგორა ვყიდით, ვყიდით ხარსა, ძროხასა, კამბეჩსა მწვანილის ფასათ ისე რომ მყიდველებს თუ რომ ჩვენ თითონ არ შევეხვეწებით კიდეც არც კი ყიდულობენ ესე, რომ წრეულ ხომ დავრჩით უხნავ-უთესი მერის უარესი დღე მოგველის ამიტომ რომ გლეხი კაცისა სულ საქონელია თუ რომ საქონელი არა გვყავს რასაკვირველია თქვენ თითონვე იცით რომ უსქონლოდ მშივრები მუდამ ვიქნებით, ჯერ ხომ მთლად ექვსი თვის განმავლობაში ზეკუცია სულ სოფლის ხარჯზე იდგა, სახლებში რასაც ასწრობდნენ აღარაფერს უშვებდნენ თუ ვინმე ხმას გასცემდა კიდეც მაგრა სცემდნენ, ესეც აღარ გვაკმარეს და აი ახლა კიდევ ჯარიმა შემოგვაწერეს ას-ორმოცდაათი თუმანი, თავათ დამშეულ დაღონებულებს რაღა ეგ გვინდოდა. ხშირათ შეხვდებით აქმოსიარულე გლეხს თავ ჩაღუნულს და დაღონებულს ფიქრობს, და თითონაც არ იცის თუ რა გააწყოს ან რით გამოკვებოს თავის დამშეულ ცოლ შვილი, გოდებს ზერტელი გლეხი და ვერა უწამებია რა. და აი ახლა ჯარიმის გარდა ამ ზეკუციის გამოთ რამდენი ვალი აქვ სოფელს, ხუთასი თუმანი ვალი. რაღა თავ შეგაწყინოთ ესეა ჩვენი მდგომარეობა.

სოფლის საზოგადოების მაგივრათ ამ წერილსა ვაწოწმებ სოფლის მამასახლისის პომოშნიკი მიხეილ ცოლაძე რადგანაც წერა არ ვიცოდი ჩემის თხოვნით ხელს მიწერს **ისაკ ცარულოვი.**

სოფლის საზოგადოების მონდობილობით **დიმიტრი კ—მე.**

*) ეს წერილი ჩვენმა რედაქციამ გუშინ მიიღო. ვბეჭდავთ უცვლელად. **რედ.**

## ილია ჭავჭავაძის ფონდი

გიგზავნით ჩვენ დიდებულ მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის ფონდის სასარგებლოდ მე-82 სუზდალის პოლკის ქართველ სალდათებს შორის ჩემ მიერ შეგროვილ ხუთ მანეთს და გთხოვთ გადასცეთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

შემომწირველთა სია: სიმ. ბაზლაძე 70 კ., ალ. გაფრინდაშვილი 70 კ., ბიკ. ჯიშკარიანი 50 კ., მიხ. მურმანიშვილი 50 კ., იაკ. ხაჯალია 50 კ., ყარ. ცხაცხადიაშვილი 40 კ., კოს. ვერულეიშვილი 40 კ., ბეს. ნამგალაძე 30 კ., ილ. ლეკვეიშვილი 30 კ., ლენ. იობაშვილი 30 კ., კას. კაპანაძე 20 კ., ნ. ეჩქვანიძე 10 კ. ნ. ლალიძე 10 კ.,

ამხანაგ. მონდობილ. **ალ. გაფრინდაშვილი.**

—

ისაია ფურცელაძისაგან ფონდის სასარგებლოდ რედაქციამ მიიღო ერთი თუმანი.

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**სიღნაღის დილიჟანსები.** მართალია, კახეთებს არ გვედირსა რკინის გზა, მაგრამ, რითაც კი ეხლა დავიარებით ტფილისისკენ, არც იმითგან გვყურია ხეირი. აქაურდ მგზავრები ბევრი გვყავს, სიხარბით აღარ იციან მედილიჟანეებმა რა ქნან. თითო დილიჟანზე ხანდისხან 15 კაცი მიჰყავთ; ბარგს, რომ მგზავრები ბლომად მიჰყავთ, კაუნახვერებენ ხოლმე და თუ ამის შემდეგ რომელიმე სადგურზე მგზავრი კიდევ გამოჩნდათ წასაყვანი, მაშინ მათ ხრიკებს და ოინებს მგზავრების მიმართ ხომ საზღვარი აღარა აქვს. 30 ნოემბერს სიღნაღიდან გიდრე დილიჟნები დაიძროდნენ, მედილიჟნე ნიკოლოზ მაღალტკომ უველას ბილეთები დაუშინჯა, ნამართვა, ბარგებზე გული იჯერა, როგორც უნდოდა, და მგზავრები დასხა. კაჭრეთის სადგურზე მგზავრი ნახა და რაკი ადგილი არა ჰქონდა, ერთ ახალგაზდა ემიწევდს ქობულაშვილს (დიდმედს) შარი მოუდო, დილიჟნიდან გადმოხტდა, საერთო დარაჯები თავზე დაეცნენ; ერთის სიტყვით, უცვეთ საშუალებას მიმართა, რომ როგორმე ჩამოეგდო ეს ბილეთიანი ახალგაზდა და სხვა უბილეთო წამოეყვანა. ხან ბაზბარობი უშინჯეს, ხან ტილი დასწამეს და რომ მგზავრებს არ ეთქვათ, რომ თვით მაღალტკომ შეუმოწმა ბილეთი და თვით დართო ნება წამოსვლისა, ქობულაშვილს შუა გზაში სტოვებდა. ნ. მაღალტკომ მაინც თავისი გაიტანა იმით, რომ საწყალ ბიჭს ერთი მანეთი წაართვა. რაც მგზავრებს გზა და გზა დეგინა დაუშლია, ის კიდევ სხვა იყო! ამ მედილიჟნე მაღაკნების თვითნებობას და სიხარბეს ბოლო არ უჩანს კიდევ იმით, რომ რასაც შიგ დილიჟნში მსხდომ მგზავრებს ახდევინებენ ბილეთში, იმასვე ართმევენ კოფოზე მჯდომელსაც. **მ. ნ. ბ.**

—

**სოფ. ახალგორი** (დუშეთის მაზრა). 6 დეკემბერს სოფ. ალევში, რომელიც ახალგორზე, მოხდა მკვლელობა. წითელ რაზმში ნამყოფის ილიკო ბიბილურის სახლში მისულა რამდენიმე გაუსაღებული რაზმელი; ჯერ კარგად უქეიფნიათ და მერე ერთს უთქვამს, წამოდგა, ილიკო, სადა ჩვენ წავიდეთო. ისიც დასთანხმებია და წაჰყოლია გასეიან თუ არა სოფლის ბოლოს, ერთს ამოუღია დანა და დაურტყამს. ბიბილური იქვე მომკვდარა მეორე დღეს იმ სოფელში ყაზახები და სტრაჟნიკები წავიდნენ, მაგრამ ვერავინ იპოვნეს.

8 დეკემბერს, როდესაც გლეხი გიგო ხუბაშვილი ერმით სახლში მიდიოდა, გზაში დაჰხვდრია მთვრალი მამასახლისი სტრაჟნიკებით. ჯერ მათრახით მაგრა უცემია, თვალი, ცხვირი და შუბლი დაუმტვრევია; მერე ხუთი მანეთი ფული წაურთმევია და ზეზეი ცემისა კაცმა არ აცის.

აგერ ექვსი თვე შესრულდა, რაც აქაურ სამკურნალოში წამლები აღარ არის. უკანასკნელ მუწუკის წამალი რომ კინდოდეთ, იმასაც ვერ იშოვით. ექიმმა რამდენჯერმე მისწერა სამკურნალო განყოფილებას, მაგრამ აქამდის პასუხი არ არის. ჩამოდიან ამ ცივ ზამთარში გლეხები შორის სოფლიდან და ცარიელ-ტარიელნი ისევ უკან ბრუნდებიან.

**გლეხი განო.**

## ტფილისის წვრილ ვაჭართა კრების დადგენილების გამო

ეს დადგენილება ორ უმთავრეს ნაწილისაგან შესდგება. პირველი ეძებს გაფიცვის მიზეზებს, ხოლო მეორე, შეიცავს ახალ პირობებს სავაჭროს პატრონთა და მუშებს შორის დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად. წვრილი ვაჭრები აღიარებენ, რომ მუშები მათის მოთხოვნების თანახმანი არიან; მაგრამ ამას ვიღაც «აბლაკატები“ უშლიან ხელსაო, ის აბლაკატები, რომელთაც ახალი ბატონ-ყმობა შემოუღიათ და მუშები ექსპლოატაციას ეწევიან. დამნაშავენი არიან აგრეთვე გაზეთები, რომელნიც მუშებს შორის უნდობლობას სთესენ ვაჭრების მიმართ. მერე, მართალია ეს?

ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს სიმართლეს მოკლებულია. პირველი ის, რომ მუშებს „აბლაკატი“ არ ესაჭიროებათ და არცა ჰყავთ და არც არავის ემონებიან. გაფიცვის მიზეზი კი სწორედ იმისი აუხრულებლობაა, რასაც ამ ერთი წლის წინად ხელს მოაწერეს თვით ვაჭრებმა, საანგარიშო წიგნაკებშიაც დაბეჭდეს და მუშებს დაურიგეს გაფიცვას იწვევს და ამწვავებს ის ლოკაუტი და ზომები ამ ლოკაუტის გასაყვანად, რომელსაც არ ერიდებიან ვაჭრები. ამას ამტკიცებს ვაჭრების მიერ ახლად შემუშავებული პირობები. თუნდა აღვნიშნოთ, რომ ის პირობები წამოყენებულ იქმნა მომრიგებელ კომისიის მიერ, რომელიც ვაჭრებისაგან იყო არჩეული, მუშებმა ამ მოთხოვნილებას თავის ძველად მოპოვებული შრომის პირობები დაუპირდაპირეს და ზოგან იმაშიაც შესწორება შეიტანეს.

პირველ მუხლის შესახებ მუშები თხოულობდნენ 8 საათის წმინდა მუშაობას, როგორც აქამდე იყო. ვაჭრებმა 9 საათს არაფერი დაუკლეს.

მესამე მუხლის შესახებ, რომელიც ამბობს, რომ მიღება-დათხოვნა სავაჭროს პატრონის სრული ნება იყოსო, მუშებმა წამოაყენეს ძველი პირობა მათგან ხელმოწერილი და საანგარიშო წიგნაკში შეტანილი შარშან ზაფხულში. ეს წიგნაკი ამბობს, რომ მიღება-დათხოვნა მუშების საქმეა. მომრიგებელ კომისიაში მუშები დასთანხმდნენ ამ მუხლის ასეთ შესწორებას: მიღება დათხოვნა ორივე მხარისაგან თანასწორად შემდგარ კომისიას დაევალოს. ხაზეინების კომისია ამას თანაგრძნობას უცხადებდა, კრებაზე კი ვაჭრებს **ერთხმად** უარ-უყვიათ. რას ნიშნავს ეს?

ასევე შეიცვალა მუხლი მუშების დანაშაულისათვის დათხოვნის შესახებ. ესეც მუშების აზრით უნდა ორივე მხრის მიერ არჩეულ კომისიას განეხილა. ისევე უნდა ყოფილიყო გამორკვეული მე-7 მუხლი წარმოების დაცემის და მუშების შტატის შემცირების შესახებ.

მერვე მუხლი. უმიზეზოდ დათხოვნისათვის ვაჭარი იძლევა 1 თვის ჯამაგირს. მუშები თხოულობდნენ წინანდელ წიგნაკის შესრულებას, ე. ი. სამი თვის ჯამაგირის მიცემას.

მეცხრე მუხლი. ტვირთის ზიდვა ვაჭრისათვის და პროვიზიის მიტანა მუშებმა უარ ჰყვეს, რადგან ეს მოგებული ჰქონდათ და წიგნაკში იყო შეტანილი. სამაგიეროდ, მიიღეს, რომ უტვირთოდ გაიგზავნონ ხოლმე ვაჭრის გარეშე საქმეებისათვის.

მეათე მუხლი მუშებმა მიიღეს. მეთერთმეტეს არ დასთანხმდნენ. აქაც მოითხოვეს წიგნაკში აღნიშნული ერთი თვის თავისუფლება წელიწადში. ვაჭრეჲი ახლა ამოკლებენ ამ ვადას 2 კვირამდე.

12 მუხლი მიიღეს. 13 მუხლის შესახებ ვერ შეთანხმდნენ.

**წიგნაკში** აღნიშნულია ავადმყოფობის დროს 1 თვით ჯამაგირი და **ორი** თვით ექიმობა ადგილის შენახვით. ვაჭრები ახლა **უკლებენ** და იძლევიან მხოლოდ **ერთი** თვის ჯამაგირს და ექიმობას.

მე-14 მუხლის შესახებ მუშებმა მოითხოვეს, რომ შტატის შემცირება-მომატების დროს დათხოვნა და მიღება **კომისიის** საქმე ყოფილიყო. ვაჭრები კი ამას თავის სრულ განკარგულებაში იტოვებენ.

მე-15 მუხლი. ბინის ქირას ვაჭრები არა საზღვრავენ. მუშებმა მოითხოვეს მისი განსაზღვრა, 2 მან. 50 კაპ., როგორც **წიგნაკშია** აღნიშნული. მე-16 მუხლი მიიღეს. მე-17 მუხლს მუშებმა დაუმატეს,

—

უზარმაზარი სახელმწიფო რომ ყოფილიყო.

მრწამს აგრეთვე, რომ მოქალაქობრივი თავისუფლება დამყარდება ჩვენში, როგორც რუსეთის სხვა ნაწილებშიაც. და მისი მიზეზი იგივეა, რომელიც ზემოდ ვახსენეთ, ე. ი. პოლიტიკური დეცენტრალიზაცია განათლებულ ქვეყნიერობისა.

სამწუხაროდ, პოლიტიკური დეცენტრალიზაცია არის სავსებით განხორციელებული მხოლოდ ახალ ქვეყნებში, ე. ი. ამერიკასა და ავსტრალიაში. ევროპაში კი არსებობენ დიდი ცენტრალისტური სახელმწიფოები. აი ეს არის მიზეზი მილიტარიზმისა და ბიუროკრატიზმისა. რომ ევროპის დიდი სახელმწიფოები ავტონომიისა და ფედერაციის საფუძველზე ყოფილიყვნენ აშენებულნი, კაცობრიობა ბედნიერი იქნებოდა, ე. ი. განათლება, მოქალაქობრივი თავისუფლება, მუშათა მდგომარეობა უფრო დაწინაურებული და გაუჯობესებული იქნებოდა. საბედნიეროდ, ახალმა ქვეყანამ, ავტონომიისა და ფედერაციის პრინციპის განხორციელების წყალობით, წინ-უსწრო ბებერ ქვეყანას და სასტიკი ომი აუტეხა სავაჭრო-სამრეწველო ასპარეზზე. ევროპა იძულებულია წაჰბაძოს თავის მეტოქეს, შემოიღოს იგივე თვითმმართველობა, განახორციელოს იგივე მოქალაქობრივი თავისუფლება, რომელიც შეადგენს ახალ ქვეყნის უპირატესობას. ვიყო თუ არა?! თავისუფლება თუ სიკვდილი?! აი საკითხი, რომელიც დამოკლეს ხმალივით ემუქრება ძველ ქვეყანას. მაშასადამე, პოლიტიკური დეცენტრალიზაცია აუცილებელია.

ევროპის უნიჭიერესი ისტორიკოსები და სოციოლოგები, სოციალისტური პარტიები და მუშათა ორგანიზაციები, ყველანი პოლიტიკურ და ეკონომიურ დეცენტრალიზაციას აღიარებენ გამონაკლისს წარმოადგენენ გერმანიის სოციალ-დემოკრატია და მისი შვილი და შვილის-შვილი: რუსეთის სოციალ-დემოკრატია და ამ უკანასკნელის მონა-მორჩილი ჩვენი სოციალ-დემოკრატია, უარმყოფელი თავის ეროვნულ ვინაობისა. მაშ ჩვენი ვალია შევაგნებინოთ ხალხს პრინციპი პოლიტიკურ და ეკონომიურ დეცენტრალიზაციისა, მოვფინოთ ქვეყნად საღი, ჭეშმარიტი პოლიტიკური აზრები.

ჩვენი ვალია აგრეთვე ვქადაგოთ ერთმანეთის დახმარება, ნამდვილი ერთობა და ძმობა. მოქალაქენო და სოფლელნო, მუშებო და გლეხებო, შეერთდით! შეადგინეთ კავშირები; დაეხმარეთ გაჭირვებულებს თქვენს შორის; შეადგინეთ საწარმოო ამხანაგობანი; შეართეთ მიწები; დააარსეთ სამიწათმოქმედო და სხვაგვარი კომუნები თანასწორობისა და თავისუფლების საფუძველზე! მეტადრე სამიწათმოქმედო კომუნებს ექნებათ დიდი მნიშვნელობა. ამერიკაში გლეხების მიერ დაარსებული სამეურნეო კომუნები, ანუ ამხანაგობანი, მშვენივრად ხარობენ; იმათი ეკონომიური კეთილდღეობა და განათლება აღემატება კერძო მესაკუთრე გლეხებისას. ვერ ხარობენ მხოლოდ ინტელიგენტთა კომუნები.

ზოგიერთი იტყვის, რომ ვითომ ამგვარი კომუნნა რეაქციონერებად და კონსერვატორებად ჰქმნიდეს ამხანაგებს. ერთობა და რეაქციონერობა ერთად ვერ მოთავსდებიან. პირიქით, კომმუნა წასაბაძავ მაგალითად შეიქმნება მეზობელ სოფლებთათვის. რაც შეეხება კომმუნის ეკონომიურ, გონებრივ და ზნეობრივ უპირატესობას, ავტორს ამაზე უკვე ჰქონია საუბარი ქართველ მკითხველთან.

მაშ ჩვენი მიზანია: ერთობა და თავისუფლება; ხოლო ერთობას ჰქმნის კომმუნა, თავისუფლებას კი პოლიტიკური და ეკონომიური დეცენტრალიზაცია.

მაგრამ, მკითხველი უთუოდ იკითხავს, რა იმედი უნდა გვქონდეს იმ ერის, რომელსაც სული ეხუთება უმეცრების სიბნელეში, სიღარიბეში და ათასგვარ სნეულებათა მსხვერპლი გამხდარაო.

მოგახსენოთ, რომ ევროპა ამ ასი წლის წინად, ე. ი. მეთვრამეტე საუკუნის გასულს უკეთეს მდგომარეობაში არ იყო. იქაც მეფობდა სოფლად და ქალაქადაც სიღარიბე, სიბინძურე, სნეულებანი, უმეცრება. საფრანგეთში დიდი რევოლიუციის წინ მამაკაცთა მხოლოდ ნახევარმა, ხოლო დედაკაცთა 20% იცოდა ხელის მოწერა; რაც შეეხება პოლიტიკურ რწმენას, თურმეტი არ იყო რესპუბლიკელი, თითქმის ყველანი, მწერლებიდან დაწყებული გლეხებამდის, აღიარებდნენ მეფეს. მაგრამ მას შემდეგ ასი წლის განმავლობაში ევროპამ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ პროგრესის გზაზე.

ამიტომ მე არ მაშინებს დღევანდელი უმეცრება, სიღარიბე და სნეულებანი. ყველაფერს შემოევლება, ეშველება. დიდია ძალა მეცნიერებისა, რომელიც უთუოდ შეაშუქებს ხალხის ბნელ გონებაში; სიღარიბის წამალი ერთმანეთის დახმარებაა და შეუძლებელი არ არის ხალხისთვის შეიგნოს ამ დიად პრინციპის მნიშვნელობა. სნეულებანი მეტ წილად მემკვიდრეობით არ დაჰყვება ხოლმე ადამიანებს. ძირითადი მიზეზი სნეულებათა არის სიღარიბე და უმეცრება; ეს ორი ჭირი კი, როგორც ზემოდ ვსთქვით, აუცილებელი არ არის.

დიდ, მე მრწამს კაცობრიობის, მაშასადამე ჩვენი ერის განახლება, პროგრესი, და ნება მაქვს დავასრულო ჩემი წერილი პოეტის მშვენიერ სიტყვებით:

„ჩემო კარგო ქვეყანა, რისთვის მოგიწყენია?
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია.“

**ვ. წ.**

რომ სარდაფებსა და სიღრმეებში სადაც აქამდისა, ეძლეოდათ სამუშაო ტანისამოსი და ფეხსაცმელი, აწიც მიეცეთ ტანსაცმელი 2 წყვილი წელიწადში და წუღები გაუცვეთელი, მუშაობის დროს.

მე-18 მუხლი მიიღეს. მაგრამ მუშებმა დაუმატეს, რომ გაკრეჭის ფასი ცალკე მისცემოდათ 40 კაპ. თვეში. მე-19 მუხლი ამბობს გაფიცვის დროს მუშებს არ მიეცეთ არც ბინა, არც ქირაო. წიგნაკში ამის შესახებ ნათქვამია—სრულად მიეცესო. კომისიაში მუშები დათანხმდნენ ორივე მუხლი ამოშლილიყო და თვითოეულ კონფლიქტის დროს ცალცალკე გადაწყვეტილიყო.

ამას გარდა მუშებმა მოითხოვეს ახლანდელ ლოკაუტის დროს მუშებისათვის ჯამაგირის მიცემა, რაც ბევრმა ვაჭარმა კერძოდ დააკმაყოფილა, მაგრამ კრებამ, რასაკვირველია, უარ-ჰყო.

ამნაირად მკითხველი ჰხედავს, რომ მუშებს ყოველი ღონე უხმარიათ შესათანხმებლად; ბევრი რამ დაუთმიათ და საქმის გონივრულად მოწესრიგება მოუთხოვნიათ. მაგრამ ბრძოლას ვაჭრების ჯიუტობა ამწვავებს, და რაც უფრო სამწუხაროა, ამის მეთაურად ისეთი პირები გამოდიან, რომელნიც სიტყვით თავიანთ თავს პროგრესიულ და ზოგნი სოციალისტურ პარტიების მომხრედ აღიარებენ.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ვაჭრები გენერალ-გუბერნატორსავით თავიანთ მიერ შემუშავებულ წესებს სავალდებულო დადგენილებებს არქმევენ და ყველა ვაჭრისთვის, მაშასადამე იმათთვისაც, ვინც მათ კავშირში არ შედის, სავალდებულად ჰხდიან იმის ასრულებას. თან მუშებს, რომელნაც მათ არ ემორჩილებიან, დათხოვნილად აცხადებენ და შტრეიკბრეხერების აყვანას იმუქრებიან. მუშები კი განაგრძობენ ბრძოლას იმის შესარჩენად, რაც წინად მოუპოვებიათ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ტანისამოსი და ფეხსაცმელის მოთხოვნა მუშებს უნდოდათ ჯამაგირზე გადაეტანათ, მაგრამ ამას დროებით თავი დაანებეს. ტანისამოსის და სხვ. მიცემის პრაქტიკა კი არსებობს ამ დაწესებულებებში იმის გამო, რომ ხელფასი ოჯახიან მუშასაც კი 10—15 მანეთი ეძლევათ თვიურად, რაც, ამკარაა, არ ეყოფა, სამუშაოზე კი ტანისამოსი ძლიერ ფუჭდება და ისვრება.

**მუშათა კომისიის წევრი.**

## ქართლ-კახეთის სამღვდელოების წარმომადგენელთა საყურადღებოდ

შეკრ დაიწყო სამღვდელოების კრება. კრებას გარჩევეთ ეგზარხოსის მიერ, ჩვეულებრივ, ისეთი საქმეები განსახილველად, რომელთა ასე თუ ისე გადაწყვეტა მაღლენად თავში სატეხი არ არის. მაგრამ გარეშე ამ ჩვეულებრივ საქმეებისა კრებას თვალწინ უდგას ორი დიდი საქმე და აი სწორეთ მათ შესახებ განვიზრახეთ გამოველაპარაკოთ წარმომადგენელთა კრებას.

პირველი: ამ რამდენისამე თვის წინად სინოდი შეეკითხა კანტორას—ხომ არ ისურვებს ქართლ-კახეთის სამღვდელოება მიიღოს ახალი შენობა (ვერაზედ) სემინარიისა, ხოლო ძველი გადასცეს სინოდს გასასყიდად, რომ ახალ შენობაზედ დანახარჯი ფული აიუნოს სინოდმაო. ჩვენ გავიგეთ, რომ რამდენიმე კაცი სცდილობს თანხმობა ათქმევინოს წარმომადგენელთა კრებას ამ საქმეზედ, მაგრამ არა გვგონია კრებამ კვლავინდებური დაუდევრობა გამოიჩინოს და უძვირფასესი ადგილი ტფილისში და შენობა ძველის სემინარიისა ხელიდან გაუშვას და სამაგიეროდ მიიღოს ახალი შენობა ქალაქის განაპირა ადგილს. ჩვენის მხრივ ვაფრთხილებთ კრებას ხელიდან არ გაუშვას ძვირფასი განძი. ოდესმე იგი დიდის შემოსავლის მომცემი იქმნება.

მეორე: სემინარიაში სადვთისმეტყველო საგნები, ქართულს ენაზე უნდა ისწავლებოდეს დღეის შემდეგ. ამ საქმისთვის სინოდმა გადასდო 11 000 მან ამ ფულის ნაცვლად, რომელსაც კანტორა უჯეროდ ახდევინებს სამღვდელოებას (სანთლის ქარხნიდან) დღემდე სასულიერო სასწავლებელთა შესანახავად, რაზედაც სამღვდელოებამ არა ერთხელ გამოაცხადა პროტესტი. აქაც ოთოორთა კაცი სცდილობს სამღვდელოებას უარი ათქმევინოს—ქართულ ენაზედ სწავლა არ გვინდაო. გაფრთხილებთ კრებას —მთერიდოს არა მკითხეთ. **მოგეთე**

## რუსეთი

✦ **ებრაელთა ჟლეტის საქმე.** კიევის სოლქო სასამართლოში დაიწყო გარჩევა კიევში მომხდარ ებრაელთა ჟლეტის საქმისა. ბრალი ედება 86 კაცს, მოწმეთ დაბარებულია 637. საქმის გარჩევას მოუნდებიან სამ კვირას.

✦ **ებრაელთა განდევნა.** ვლადივოსტოკის ადმინისტრაციამ ბრძანება გასცა: ოთხი დღის განმავლობაში ვლადივოსტოკიდან ყველა ებრაელები უნდა გავიდნენო. ვისაც უძრავი ქონება აქვს, 18 დღის ვადა მიეცა. ამ ხნის განმავლობაში ებრაელებმა თავიანთი სარჩო-საბადებელი უნდა გაჰყიდონ და ქალაქიდან გავიდნენ.

✦ **ვიბორგის საქმე.** 12 დეკემბერს, პეტერბურგის სოლქო სასამართლო შეუდგა ვიბორგის საქმის გარჩევას. სამართალში მიცემულია 180 დეპუტატი პირველ სათათბიროსი. ბევრი ლაპარაკი ყოფილა იმის შესახებ, მოვიწვიოთ თუ არა დამცველებიო. „კადეტები" წინააღმდეგნი იყვნენ, შრომის ჯგუფის წევრნი თხოულობდნენ დამცველების მოწვევას. თვითონ ბრალდებულთა შორის 20 კაცი იურისტია. საერთო რიცხვი დამცველებისა უდრის 56-ს. დამცველებმა ასე გაინაწილეს ეს საქმე: თვითონ ბრალდებულნი იურისტნი დაიცავენ პოლიტიკურ მხარეს, მოწვეული ვექილები—იურიდიულს. პირ. სათათბიროს თავმჯდომარემ მურომცევმა ვექილად მიიწვია კისტიაკოვსკი.

✦ **კანონი პრესის წინააღმდეგ.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეადგინა კანონ-პროექტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. კანონ პროექტში ნათქვამია, რომ ვისაც გაზეთის გამოცემა სურს, გირაო უნდა შემოიტანოსო.

✦ **გაფლანგვა.** სახელმწიფო ბანკის ხაზინადარს გაუფლანგავს 100.000 მანეთი.

✦ **შეტაკება.** პეტერბურგში პოლიცია დასცემია რევოლიუციონერთა ბინას. რევოლიუციონერებს სროლა აუტეხნიათ, მოუკლავთ ბოქაული, მეეზოვე, მისი მეუღლე, დასჭრეს უბნის ზედამხედველი, რამდენიმე პოლიციელი და მიიმალნენ.

✦ **ერთმა პოლიციის საქმეს ასრულებს** ელიზავეტგრადის საერობო კრებას 25 ათასი მანეთი გადაუდვია რევოლიუციონერთა გასაძევებლად.

✦ **პოლონეთში.** პოლონეთის გენერალ-გუბერნატორმა სკალონმა წინდაწინვე შეატყობინა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სტოლიპინს, რომ ის პოლონურ „მატიცის" დაკეტვას აპირებს. სტოლიპინმა, რასაკვირველია, კვერი დაუკრა. 3 დეკემბერს „მატიცას" გამგეობას ოფიციალურად შეატყობინებს „მატიცას" მოსპობა და მაშინვე გასცეს ბრძანება, რომ დაუყოვნებლივ დაიკეტოს მთელ პოლონეთში „მატიცას" სკოლები, თავშესაფარები და დაწესებულებანი.

პოლონეთში შარშან დაარსდა საზოგადოება „უნივერსიტეტი ყველასთვის." წრეულს მოხდა წლიური კრება საზოგადოებისა. ანგარიშიდან სჩანს, რომ საზოგადოებას მარტო ვარშავაში ჰყოლია 2558 წევრი, 2690 მსმენელი ლექციებისა, 8 სექცია, 69 ლექტორი. საზოგადოებას გაუმართავს 109 ლექცია, რომელსაც დასწრებია 46,075 კაცი. ამ საზოგადოების გარდა სახალხო უნივერსიტეტი ჰქონდა აგრეთვე პოლონეთის „მატიცას", რომელსაც რამდენჯერმე მეტი ლექტორი, მსმენელი და წევრი ჰყავდა.

✦ გაზეთ „კასპი"-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან შემდეგს: „რუსის ხალხთა კავშირში ახალი საყურადღებო ინციდენტი მოხდა. კავშირის მეთაურებმა განუცხადეს მთავრობას, რომ პურიშკევიჩმა კავშირის სადგომიდან საჭირო საბუთის ქაღალდები და გასალები მოიპარაო. პოლიციამ ოქმი შეადგინა, კავშირის სადგომი დაჰკეტეს".

## წერილი რედაქციის მიმართ

1906 წ. ნოემბერში მე მეტეხის ციხეში წავიკითხე თქვენსა და აგრეთვე სხვა ქართულ გაზეთებში განცხადება, რომელშიც ეწერა, რომ „ხალხისთვის" გულ-შემატკივარნი მოაურნენი ვართ შევადგინოთ ამხანაგობა «განვითარება» და გამოვცეთ ქართულს ენაზე «სამეცნიერო» წიგნებიო. ჩვენს ღარიბს და ღატაკს ტუსაღთა შორის მე შევაგროვე ამ საქმის სასარგებლოდ ოცი მანეთი, რომელიც გავგზავნე სტამბა «შრომა»-ში დ. მივიღე ზაქარია ჩიჩუას მიერ ხელმოწერილი კვიტანციები. მიდის აგერ ამდენი ხანი და არა ისმის რა არც იმ ამხანაგობის, არც «მეცნიერულ» და არც უეცარ გამოცემების შესახებ. მე კი პასუხის მგებელი შევიქენ წინაშე ჩემ ამხანაგ ტუსაღებისა ამ ფულის შესახებ. ამიტომ ვთხოვ ზემოხსენებულ ფულის მიმღებს ზაქარია ჩიჩუას, რადგან როგორც გვპირდებოდა „განვითარება" ველარ დააარსა „მეცნიერულ" წიგნების გამოსაცემად, ეს ფული ან მე დამიბრუნოს ამხანაგთა გადასაცემად, ან და გაუგზავნოს გაზ. „ისარის" რედაქციას".

**კოტე ციმაკურიძე.**

## დეპეშა

12 დეკემბერს

**თავრიზი.** თავრიზის ენჯუმენმა მიითვისა ადგილობრივ ფოსტა ტელეგრაფისა და მასპორტების შემოსავალი და სურს თავისად მოიხმაროს.

**თეირანი.** მეჩეთიდან ჯერაც არ დაშლილა მეჯლისის დამცველი რაზმი. მოედანზე ადარაგინ არის. ქალაქში გახშირდა ცარცვა-გლეჯა. სასწავლებლები დაკეტილია. გაზეთები გამოდიან. შაჰინ შაჰი და მეჯლისი მორიგდნენ. პირობის ქაღალდებს ყურანებზე დასწერეს, ხელს მოაწერეს და ერთმანეთს გადასცემეს თავიანთ ყურანებს. საადედ დოვლემ, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ევროპაში წასვლა, ჰოლანდიის საელჩოს შეაფარა თავი.

**ნოვოროსიისკი.** გაფიცვის გამო სადგურში მუშაობა შესწყდა. როსტოვიდან ჩამოსულმა მუშებმა მუშაობა დაიწყეს. დამე ერთი მუშა მოჰკლეს.

**ეკატერინოსლავი.** მატარებელში მოჰკლეს უბნის ზედამხედველი და დასჭრეს ხაფარი.

**სევასტოპოლი.** ასაფეთქებელ მასალების საწყობში აფეთქდა ნაღმი. საწყობი დაინგრა. სამი კაცი მძიმედ დაიჭრა.

**ვაშინგტონი.** იკიკედან (ჩილის რესპ.) იუწყებიან, რომ გაფიცულ მუშებსა და ჯარს შეტაკება მოუვიდათ. ჯარს ტყვიის-მფრქვეველით 200 მუშა მოუკლავს.

**თეირანი.** შაჰინ-შაჰმა რუსეთისა და ინგლისის ელჩებს ფიცი მისცა, რომ ის კონსტიტუციას დაიცავს.

**ვარშავა.** გენ.-გუბერნატორმა დაკეტა ებრაელთა ეროვნული კლუბი პოლონეთში.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ბველიშვილი.**

## განცხადებანი

ღია წერილი.

**ტფილისის მოსამსახურეთა პროფესიულ კავშირისადმი.**

ეს არის ახლა წავიკითხე „მოსამსახურეთა პროფეს. კავშირისაგან" გამოცემული ფურცელი, რომელშიაც არც ერთ დასახელებულ პირის და რასაკვირველია, არც ჩემ შესახებ, არც ერთი სიტყვა არ არის მართალი, მხოლოდ თავიდან ბოლომდე სიცრუით და ცილის წამებით არის სავსე. ამისათვის, სხვებმა თავისი იციან და მე კი ვიწვევ „ტფილ. მოსამსახურეთა პროფეს. კავშირს" სამედიატორო სამართალში მოვითხოვ ექვსი დღის განმავლობაში, „კავშირმა" აირჩიოს მედიატორები, მეც ჩემის მხრით დავასახელებ და მათ გაგვასამართლონ. მე ვამბობ, რომ მე არავითარი ზომები არ მიმიღია და არც სხვისთვის მიმიღებინებია მუშების წინააღმდეგ, რომ მე არც განადგურებას ვპირდებოდი მუშებს და არც სხვა წამიქეზებია ამაზედ, აგრეთვე უარსა ვყოფ, მთელს შინაარსს ფურცლისას, როგორც უსამართლო და გამოგონილ ბრალდებას.

თუ „ტფილ. მოსამსახურეთა პროფეს. კავშირი" ამის დასტამბვის დღიდან ექვსი დღის განმავლობაში არ გამოვა სამედიატორო სამართალში, ცხადია, მისი მოქმედება ბოროტად განზრახულ ცილის წამებად უნდა ჩაითვალოს, როგორც საშუალება შეუგნებელ მოსამსახურეთა სისხლზედ წასაქეზებელი. წინათვე უარსა ვყოფ ყველა იმ საბუთებს, რომელსაც ხშირად ამოეფარებიან ხოლმე ცილის მწამებელნი. მედიატორეთა განაჩენი უნდა გამოქვეყნებულ იქმნას გაზეთებში.

**იოსებ მერკვილაძე** (1—500—1)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

### საჭიროა

**თანამშრომელნი ორივე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსათვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д 15 и 5. (100—71—92)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**; 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ე. ი. ბაბანასოვი**. 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ

**ა. მ. ბუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გედევანიშვილი**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. კარაპეტიანცი**: 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შმერლინგი**: $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი გურგენოვი**: 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ა. ი. გრიგორიანი**: 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (ხალ.—178)

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შილერის თხზულება

## ფიესკო

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი ია ეკალაძე-ცინცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფავლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ჭიათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთ"-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი"-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებიდან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზედ (№ 11) ს. ბერძნიშვილს ვინც ას ცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპეიკად. (0—6.—19)

გამოვიდა და იყიდება

„წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში"

ლ. ანდრეევის დრამ.

## „ცხოვრება ადამიანისა"

თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა. (10—7)

## ხიმშიაშვილის და დიასამიძის

მამულში საბურთალოსთან, ვერაზე იყიდება მიწები, დაყოფილი ნაჭრებად 24, 40 და 70 კაპ. საჟენი წლის გადახდის ვადით.

სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურის სახლი, **№ 153 მაჭავარიანი, გელოვანი.** (10—438—9)

ფეხსაცმლების სახელოსნო

## „იმედი"

(НАДЕЖДА)

მიხეილის ქ. № 51, სახლი კუკუჯანოვისა, ქალების მე-V გიმნაზიის პირდაპირ.

ამით აცხადებს პატივცემულ ქართველ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ მან საუკეთესოდ მოაწყო სახელოსნო, როგორც ხელობის მხრივ, ისე შეკვეთილების კეთილ სინიდისიერათ დამზადებით; სადაც ყველას შეუძლიან შეკვეთა ხრომისა, შევროვისა და სხვა მასალის ფეხსაცმელებისა, როგორც ქალებისა და ვაჟებისათვის ისე ბავშვებისათვისაც. ყველა შეკვეთილ ფეხსაცმელებს სახელოსნო ამზადებს სუფთად და მკვიდრად, ძალიან დაკლებულ და ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასებში.

„წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბოხება გურიისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი, ა. ფრონელისა . . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია»**, ე. ჯაგახიშვილისა . . . 15 კ.
3. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . 3 მ.
4. **«საბერძნეთის ძველი ისტორია»**. ნორმანისა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების ძველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იაშვილისა . . . . . . . . . 20 კ.
7. **«მასალები საქართველოს ისტორიისათვის»** . . . . . . . 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**, მ. ჯანაშვილისა . . . . . . . 1 მ.
9. **«მთიულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . 40 კ.
10. **«ცისარტყელა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოც მა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . 1 მ. 35 კ.
14. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ი. ჯავახიშვილისა . . . . 40 კ.
15. Судьбы груз. церкви. I-ое добавленіе . . . . . . . . 5 კ.
16. სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ მე-18 საუკ., გამოც. წერა-კითხვის საზოგადოების, რედაქცია ექ. თაყაიშვილისა. . . . . . . . 2 მან.

წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა

აუწყებს ამით „საზოგადოების" წევრებს, რომ წესდების მე 11 მუხლის ძალით, ვინც დეკემბრის დამლევამდის არ გადაიხდის

## საწევრო გადასახადს,

მომავალ წლიდან ჩამოერთმევა წევრობა

მატარებლების მიმოსვლა

(15 ოქტომბრიდან)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

**ტფილისიდან მიდის**

**ბათუმისაკენ**: 1) სამგზავრო № 7 დილის 10 საათზე (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, № 3 დილის 8 ს. 17 წ. (9 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო № 5 საღამოს 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბაქოსაკენ**: 1) სწრაფი № 8 საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 8 ს. 43 წ. (9 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 6 ს. 55 წ. (7 ს. 53 წ.)

**ყარს-ერევნისაკენ:** 1) საფოსტო ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.).

**ტფილისში მოდის.**

**ბათუმიდან**: 1) სამგზავრო № 8 საღამოს 11 ს. (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 51 წ. (8 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 6 ს. 25 წ. (7 ს. 23 წ.).

**ბაქოდან**: 1) სწრაფი № 7 დილის 9 ს. 28 წ.; (10 ს. 26 წ.); 2) საფოსტო, № 3 დილის 7 ს. 26 წ. (8 ს. 24 წ.); 3) სამგზავრო, № 5 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: 1) საფოსტო, ნაშუადღევის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 2) სამგზავრო, საღამოს 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.).


✦ МАГАЗИНЪ ✦

„КОМПОЗИЦІЯ"

Тифлисъ, Пушкинскій пассажъ, № 8



Громадная экономія шведскаго композиціон. бѣлья.

✦ Носится не менѣе двухъ лѣтъ. ✦

Постоянный большой выборъ Свѣжаго товара ВОРОТНИКОВЪ, МАНИШЕКЪ и МАНЖЕТЪ.

Единственный представитель для Баку, Тифлиса и ихъ окрестностей.

ПО ФАБРИЧН ЦѢНАМЪ

Передѣлка въ любой фасонъ безплатно.

Просятъ не смѣшивать появившіеся въ продажѣ бѣлья изъ поддѣльной композиціи

Отдѣленіе въ Баку, Кривая ул. противъ фотог. Зелинскаго. (15—9)


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.